ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 131

"11" აპრილი 2023 წ.

ქ. თბილისი

სსიპ ქალაქ თბილისის №30 საჯარო სკოლისთვის გურამ რჩეულიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №30 საჯარო სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს გურამ რჩეულიშვილის სახელი და სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ - გურამ რჩეულიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №30 საჯარო სკოლა".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე